საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№320/4

2024 წელი, 2 თებერვალი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 101-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და 102-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოთ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების (წამყვანი კომიტეტი), ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, საფინანსო-საბიუჯეტო და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტებს განიხილონ საქართველოს პარლამენტის წევრების: მაია ბითაძის, ალექსანდრე დალაქიშვილის, გიორგი ცაგარეიშვილის, გოდერძი ჩანქსელიანი,ს ხატია წილოსანის, ეკა სეფაშვილის, ქეთევან ჩარკვიანის, სალომე ჯინჯოლავას, ირმა ზავრადაშვილის, რამინა ბერაძის, გიორგი ხახუბიას, შოთა ხაბარელის, ნოდარ ტურძელაძის, ანზორ ბოლქვაძის, სალომე ქურასბედიანის, არჩილ თალაკვაძის, გიორგი კახიანის, ბექა დავითულიანის, ზაზა ლომინაძის, ედიშერ თოლორაიას, ანრი ოხანაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ბექა ოდიშარიას და ლევან ქარუმიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტები და „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი (07-3/407; 27.12.2023) და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ვოლსკი